

ტესტის სახელწოდება აქტიური ვიტამინი B12

ტესტის ალტერნატიული დასახელება ჰოლოტრანსკობალამინი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ვიტამინი B12 (კობალამინი) აუცილებელია სისხლის წითელი უჯრედების ფორმირებისა და ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ამინომჟავის მეტაბოლიზმსა და დნმ-ის სინთეზში. ვიტამინ B12-ის დეფიციტი იწვევს მეგალობლასტურ ანემიას და ნეიროპათიას.

ვიტამინ B12-ის ორგანიზმში წარმოქმნა არ ხდება და ამიტომ მისი მიღება საკვების სახით უნდა მოხდეს. ვიტამინ B12-ს შეიცავს ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტები - საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, თევზი, რძე, ყველი, კვერცხი. მოზრდილებს ღვიძლში ვიტამინ B12-ის დაახლოებით 1-2 წლის მარაგი აქვთ.

ვიტამინ B12-ის დეფიციტი შეიძლება განვითარდეს მისი არასაკმარისი რაოდენობით მიღებით; მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს ზოგადი მალნუტრიციის ან მკაცრი ვეგეტერიანელობის პირობებში. ვიტამინ B12-ის შეწოვის დარღვევამ ასევე შეიძლება მისი დეფიციტი გამოიწვიოს.

ორგანიზმში არსებული ვიტამინ B12-ის მცირე ნაწილი დაკავშირებულია ცილა ტრანსკობალამინთან. ტრანსკობალამინის და B12-ის ამ კომპლექსს ჰოლოტრანსკობალამინი ეწოდება.

ჰოლოტრანსკობალამინი ასევე ცნობილია, როგორც აქტიური ვიტამინი B12, რადგან უჯრედებს ვიტამინ B12-ის ათვისება მხოლოდ ჰოლოტრანსკობალამინის ფორმით შეუძლიათ.

თანამედროვე კვლევებმა აჩვენეს, რომ აქტიური B12-ის განსაზღვრა საერთო B12-ის ანალიზთან შედარებით უფრო ზუსტად ასახავს ორგანიზმში ამ ვიტამინის რეალურ დონეს. აქტიური ვიტამინ B12-ის ანალიზი უკეთეს მარკერად ითვლება B12-ის დეფიციტის ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად.

მოცემული ანალიზი სისხლში აქტიური ვიტამინ B12-ის დონეს განსაზღვრავს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

აქტიური ვიტამინ B12-ის ანალიზი ძირითადად ინიშნება:

- როდესაც ეჭვი აქვთ ვიტამინ B12-ის დეფიციტზე
- როდესაც პაციენტს მეგალობლასტური ანემია აღენიშნება
- როდესაც პაციენტს ნეიროპათიის ნიშნები აქვს

- ვიტამინ B12-ის დეფიციტის გამო დაწყებული მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად

ეს ანალიზი ზოგჯერ ფოლიუმის მჟავის ანალიზთან ერთად შეიძლება დაინიშნოს.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ანალიზამდე 6-8 საათით ადრე პაციენტმა საკვები არ უნდა მიიღოს. ზოგიერთმა მედიკამენტმა შედეგებზე გავლენა შეიძლება იქონიოს, ამიტომ ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად ზუსტი ინსტრუქციების მიღება აუცილებელია.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ექიმის მიერ.

ზოგადად, აქტიური ვიტამინ B12-ის დაბალი დონე მის ნაკლებობაზე შეიძლება მიუთითებდეს.